

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
აკადემიური საბჭო**

---

ქ. ბათუმი

20 მაისი, 2013 წელი

**და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/31**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების: ხელოვნების ისტორია და თეორია (კონცენტრაციები - ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა); კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი; კულტურული ტურიზმი; მასობრივი კომუნიკაცია სპეციალიზაციით ტელერადიოჟურნალისტიკა; დამატებითი სპეციალობები (ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, კულტურის მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, ტელეჟურნალისტიკა) და არჩევითი ბლოკები (ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, კულტურული ტურიზმი, კულტურის მენეჯმენტი) დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 16 მაისის სხდომის (ოქმი № 3) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- ხელოვნების ისტორია და თეორია (კონცენტრაციები - ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა);

პროგრამის ხელმძღვანელები პროფესორი მაია ჭიჭილეიშვილი, აკადემიური დოქტ. ინგა ხალვაში.

- კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი;

პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ერმილე მესხია.

- კულტურული ტურიზმი;

პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ერმილე მესხია.

- მასობრივი კომუნიკაცია სპეციალიზაციით ტელერადიოჟურნალისტიკა.

პროგრამის ხელმძღვანელი - აკადემიური დოქტორი მამუკა ჯორბენაძე

დამატებითი სპეციალობები:

- ხელოვნებათმცოდნეობა (კონცენტრაციები: კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა) - ხელმძღვანელები მაია ჭიჭილეიშვილი, ინგა ხალვაში.
- კულტურის მენეჯმენტი - ხელმძღვანელი ერმილე მესხია.
- კინომცოდნეობა - ხელმძღვანელი აკად. დოქტორი ინგა ხალვაში.
- კულტურული ტურიზმი - ხელმძღვანელი სრული პროფესორი ერმილე მესხია.
- ტელეჟურნალისტიკა - ხელმძღვანელი აკად. დოქტორი მამუკა ჯორბენაძე.

არჩევითი ბლოკები:

- ხელოვნებათმცოდნეობა ( ხელმძღვანელი - პროფ. მაია ჭიჭილეიშვილი);
- კინომცოდნეობა (ხელმძღვანელი - პროფ. მაია ჭიჭილეიშვილი);
- კულტურული ტურიზმი ( ხელმძღვანელი - პროფ. ერმილე მესხია);
- კულტურის მენეჯმენტი ( ხელმძღვანელი - პროფ. ერმილე მესხია).

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს  
თავმჯდომარე

ე. მესხია